საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის

სსიპ საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს უფროსის

ბრძანება №34

2022 წლის 7 დეკემბერი

ქ. თბილისი

პირველი და მეორე კატეგორიების კრიტიკული ინფორმაციული სისტემების სუბიექტებისთვის პენეტრაციის (შეღწევადობის) ტესტის ჩატარების წესისა და პერიოდულობის დადგენის შესახებ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს უფროსის 2022 წლის 2 დეკემბრის №32 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-12 პუნქტის და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 29 მარტის № 157 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„პირველი და მეორე კატეგორიების კრიტიკული ინფორმაციული სისტემების სუბიექტებისთვის პენეტრაციის (შეღწევადობის) ტესტის ჩატარების წესისა და პერიოდულობის დადგენის შესახებ“ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს უფროსის 2022 წლის 2 დეკემბრის №32 ბრძანებით დამტკიცებულ წესში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) წესის მე-8 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. პენეტრაციის ტესტი შესაძლოა გრძელდებოდეს არაუმეტეს 7 თვისა, ხოლო საჭირო კაც-საათების რაოდენობა არ შეიძლება აღემატებოდეს 125 სამუშაო დღეს და 20 შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პენტესტერს/პროფესიონალს. პენეტრაციის ტესტის მომსახურების საფასურის განაკვეთები განისაზღვრება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს მიერ მომსახურების გაწევის საფასურის განაკვეთების, ასევე ამ საფასურის გადახდის, მისი გადახდისგან გათავისუფლების და გადახდილი საფასურის დაბრუნების წესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს უფროსის 2019 წლის 20 თებერვლის №6 ბრძანებით.“;

ბ) წესს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-9 მუხლი:

„მუხლი 9. წესის მოქმედება

ამ წესის მოქმედება, გარდა ამ წესის მე-8 მუხლისა, ვრცელდება სსიპ – ციფრული მმართველობის სააგენტოს მიერ ავტორიზებული ორგანიზაციების მიერ მეორე კატეგორიის კრიტიკული ინფორმაციული სისტემების სუბიექტებში პენეტრაციის ტესტის ჩატარებაზე.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საჯარო სამართლის იურიდიული
პირის - საქართველოს ოპერატიულ-
ტექნიკური სააგენტოს უფროსი **კობა კობიძე**